

დავიწყეთ! პროექტი „EU4Accountability“ სოციალური ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად მოლდოვას რესპუბლიკაში

პროექტი [EU4Accountability](#) ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მოლდოვის რესპუბლიკის 10 რაიონში გავლენა მოახდინონ ადგილობრივ ხელისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობით, რათა უკეთ დააკმაყოფილონ ხალხის საჭიროებები. 60 არასამთავრობო ორგანიზაცია შეისწავლის მეთოდებს, თუ როგორ უნდა ჩაერთოს ადგილობრივ ბიუჯეტირებასა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რაც შემდგომში დაეხმარება ადგილობრივი თემების საჭიროებების უკეთ ასახვას და სოციალური ანგარიშვალდებულების გაზრდას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რომლებიც შეირჩნენ კაპულის, კიმისლიას, კომრატის, ფელემტის, ფლორემტის, გლოდენის, რასკანის, სტაშენის, სტეფან ვოდას და ტელენესტის რაიონებიდან ღია განაცხადის კონკურსში მონაწილეობის შედეგად, ჩაერთვებიან უფრო ფართო შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში. ეს მათ საშუალებას მისცემს ისწავლონ:

- თუ როგორ განახორციელონ საკუთარი საჯარო პოლიტიკის მონიტორინგის პროექტი,
- როგორ გააძლიერონ სოციალური ანგარიშვალდებულებისა და საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობის მექანიზმები,
- როგორ შუწყონ ხელი თანატოლთა სწავლას,
- როგორ გაუზიარონ გამოცდილება და შექმნან ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ქსელი.

„დღეს ჩვენ ვიწყებთ ახალ პროექტს - EU4Accountability - მოლდოვას რესპუბლიკის 10 რაიონში. ევროკავშირი 1,5 მილიონ ევროს ინვესტირებას ახორციელებს მოლდოვას ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების სოციალური ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად სამოქალაქო საზოგადოების მიზნობრივი მხარდაჭერის გზით. ეს პროექტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესთავაზებს გრანტებს, რათა მხარი დაუჭირონ მათ მონაწილეობას პოლიტიკის დიალოგში და დააკვირდნენ საჯარო ხელისუფლების მუშაობას. პროექტი ხელს შეუწყობს მოქალაქეების ჩართულობას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებში და აძლევს მათ უფლებას, მოახდინონ გავლენა არჩევნებზე ხმის მიცემის მიღმა, რაც თავის მხრივ აძლიერებს დემოკრატიას მოლდოვაში“, განაცხადა, [ევროკავშირის ელჩმა მოლდოვას რესპუბლიკაში, იანის მაჟეიკსმა](#).

„პროექტი EU4Accountability შესთავაზებს გრანტებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რათა მხარი დაუჭირონ მათ მონაწილეობას პოლიტიკის დიალოგში და დააკვირდნენ საჯარო ხელისუფლების მუშაობას“ იანის მაჟეიქსი, ევროკავშირის ელჩი მოლდოვას რესპუბლიკაში.

პროექტი "EU4Accountability" მიზნად ისახავს სოციალური ანგარიშვალდებულების კონცეფციის პოპულარიზაციას მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის სოციალური ანგარიშვალდებულების სარგებლობის პრაქტიკაში ახსნის გზით. სარგებელი შესამჩნევია მას შემდეგ, რაც სამოქალაქო საზოგადოება უკეთ გაიაზრებს თავის როლს - ზედმიწევნით შეისწავლოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების პროექტები და წარსდგეს წინადადებებით საჯარო დებატებში, მოითხოვოს შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის გამოყოფა, რომელიც მოხმარდება მოქალაქეების რეალურ საჭიროებებს, ასევე დააკვირდეს არის თუ არა საჯარო მომსახურება კარგი ხარისხის და მოითხოვოს იმის გაუმჯობესება, რაც არასწორად ან უსამართლოდ აღიქმება.

ამრიგად, პროექტიდან მიღებული გაცვეთილები ხელს შეუწყობს პოლიტიკის მონაწილეობით ანალიზს და საშუალებას მისცემს სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტებს ჩაერთონ პოლიტიკურ დიალოგში, რათა გააუმჯობესონ მოქალაქეების მიერ წინადადებების წარდგენა ხელისუფლებისთვის და შექმნან პირობები მოქალაქეთა ინიციატივებისა და მოსაზრებების მოსმენისა და გაგებისთვის. პროექტის ფარგლებში მოლდოვის საზოგადოებრივი ასოციაციების ჩართულობის წყალობით შეფასდება რაიონებში არსებული საჭიროებები და უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო აქტივობები მოქალაქეებისთვის.

2022 წლის ნოემბერში სსო-ები მონაწილეობას მიიღონ აქტივობებში, რომლებიც კარგ მმართველობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საინტერესო თემებზე იქნება ორიენტირებული. პროექტში მონაწილეობისთვის შერჩეულ ორგანიზაციებს ჩაუტარდებათ ორგანიზაციული განვითარების სემინარები, რითაც გაიზრდება მათი უნარები და გამოცდილება სოციალური ანგარიშვალდებულების საკითხებში.

ასევე, პროექტი EU4Accountability ითვალისწინებს მოგვიანებით გრანტების შეთავაზებას სსო-ებისთვის პროექტის 10 სამიზნე ოლქში, რათა განახორციელონ სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესები ადგილობრივ დონეზე. ამგვარად, ისინი შეძლებენ უფრო ეფექტურად მონაწილეობა მიიღონ თემის დაგეგმვაში. სსო-ები უკეთ იქნებიან აღიარებულნი, როგორც ლეგიტიმური აქტორები, რომლებიც ჩაერთვებიან ადგილობრივ დემოკრატიულ მმართველობაში.

შეიტყვეთ მეტი პროექტის [Facebook](#) გვერდით.

პროექტს ახორციელებს სამი ორგანიზაციის კონსორციუმი: ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისთვის (EPD), ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ALDA) და ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია - PIN 2022წლიდან -2024 წლამდე.